

გოდგოდგოდ

№7, 2017





ზონა ვაშაკიძე

არდადეგები

მთები მიხმობენ – აქ მოდი.
ზღვა მიხმობს – ჩემთან დარჩიო.
ყველგან კარგია, არ ვიცი,
რომელი გამოვარჩიო.
ყოველ ნაბიჯზე, მამულო,
გაქვს სილამაზე ზღაპრული.
ვიცი, გსურს, შენი სიტურვით
დამატებო მთელი ზაფხული.
ჰოდა, მეც მზად ვარ... ვიჩქარი...
ოცნებას ფრთები გაშლია...
მსურს, გავძლიერდე, გავკაჟდე –
ზღვაზეც წავალ და მთაშიაც.



დაგ-ღუბ... დაგ-ღუბ... დაგღუბით
მიქრის მატარებელი...
სარკმელს მოვარე აწყდება,
სავსე მოვარე – ბებერი.
ვზივარ სერიოზულად –
მე ხომ უკვე დიდი ვარ,
მე და მოვარე სოფელში
ჩემს ბებოსთან მივდივართ.
ჩქარა, მატარებელო,
დაგ-ღუბ... დაგ-ღუბ... დაგღუბით...
– აჰა, უკვე გამოჩნდა
ბებოს სოფლის სადგური.

მხატვარი
მარინა სუჰათაშვილი

ს ა ზ უ ქ ა ნ ი



გარედან დაიძახეს:

– ჰაი, მიხო!

მჭედელმა ურო გრდემლზე დადო და ღია კარში გაიხედა. გარეთ ორნი იდგნენ: ჭალარა კაცი ერეკლე და იმისი შვილიშვილი, პატარა ბიჭი სულხანი.

ერეკლე ნიჩბივით ფართოპირიან თონის ტარს დაყრდნობოდა და სამჭედლოსკენ იყურებოდა. ბიჭს შარვლის ჯიბეებში ხელები ჩაეყო, ყვინჩილასავით ფეხები განზე გაეჯგოდა და მჭედელს წარბქვეშიდან გამოსცქეროდა.

– რა შორიდან იძახით, კაცო, – შეიპატიჟა სამჭედლოში მიხომ პაპა-შვილიშვილი.

ერეკლემ უარის ნიშნად თავი გაიქნია და თქვა:

– გვეჩქარება!

– მაშინ მითხარით, რა გინდათ, არც მე ვარ უსაქმო, მეც მეჩქარება! – გაეპასუხა მჭედელი.

ერეკლემ ყმანვილს მხარზე ხელი გადახვია.

– სიმინდის ნათესს სარეველა მოედო, მარტო მე ვერ მოვრევივარ ჩემი თოხით და სულხანიც მიმყავს, ცოტას მომეშველება თოხნაში. ჩემ გვერდით რომ იქნება, გავხალისდები, არ დავიღლები...

ბიჭის შემყურე მჭედელმა გაიფიქრა – ეს რისი გამთოხნიაო და გულიანად გაეცინა:

– რას ამბობ, კაცო! რა დროს მაგის თოხია, პატარა ბიჭია, ახლა შინ უნდა იჯდეს და გოგლიმოგლიან პურს მიირთმევდეს.

ყმანვილს მჭედლის სიტყვები არ მოეწონა, მშვიდი სახე უცებ წამოენთო და მიხოს ხმამაღლა გაეპასუხა:

– ვინ არის პატარა, მე? პატარა ჩემი და თაკოა, იმას უყვარს გოგლიმოგლიანი პურის ჭამა, მე დიდი ბიჭი ვარ!

ყმანვილის ბრაზნარევმა ნათქვამმა მიხოს სიცილი შეანყვეტინა და უხერხულობა რომ დაემალა, ჰკითხა:

– ვაჟკაც, რამდენი წლისა ხარ?

– მემრის სკოლაში ივლის! – ბიჭის მაგიერ ერეკლემ უპასუხა, – გუშინ ბეზიას ეუბნება, პაპა მუშაობით დაიღალა. ხვალ სიმინდის სათოხნად მეც გავყვები, მივებმარებო. რო ატყდა კოკისყურით, ველარ გადავათქმევენეთ. რა მექნა, კაცო, ჩათრევას ჩაყოლა ვარჩიე. – კარგი, ხვალ წაგიყვან-მეთქი და აი, დღეს წამოვედით, ოღონდ სულხანს თოხი არა აქვს. იქნებ, გამოჭედილ-გამზადებული გქონდეს, გაგვმართე!

მიხომ ერეკლეს მოუსმინა, მერე პირუჩუმრად სამჭედლოში შებრუნდა, იქიდან მალევე გამოვიდა. ბოსტანში მწვანის გამოსათოხნად რომ გამოდგებოდა, ისეთი ვინროპირიანი, პატარა თოხები გამოიტანა, ძირს დაყარა და პაპა-შვილიშვილს უხმო:

– მოდით, აირჩით!

ვიდრე ერეკლე პაპა თოხებთან მივიდოდა, სულხანმა მიირბინა, ერთი თხილისხისტარიანი თოხი აიღო, მცოდნე კაცივით პირი მოუსინჯა, სარეველა ბალახს ძირიანად მოთხრის თუ არაო. მოეწონა და მხარზე გაიღო.

– კარგია? – ჰკითხა პაპამ.

– კარგია! – თქვა ბიჭმა და კმაყოფილმა გაიღიმა.

ერეკლემ ჯიბიდან ფული ამოიღო, მჭედელს გაუნოდა.

– აილე, რაც ღირს!
მიხოს ფულისთვის არც დაუხედავს,
თოხები წამოკრიფა და ილღიაში ამოიჩა-
რა.

– აილე ფული! – გაუმეორა ერეკლემ.
მჭედელმა მხარზე თოხგადადებულ
ყმანვილს შეხედა, გაუცინა და თქვა:

– ეგ თოხი ბიჭისთვის მიჩუქნია!

– რას ამბობ, კაცო! – გაუკვირდა ერე-
კლეს. – ნემსი ხომ არ არის, რომ გააჩუ-
ქო. თოხია – გიშრომია, გამოგიჭედია...

– შენი შვილიშვილი რომ დავაჟკაც-
დება და ჩემთან დიდი თოხის საყიდლად
მოვა, პატარა თოხის ღირებულებასაც
მაშინ გადავახდევინებ! – თქვა მიხომ და
თოხები სამჭედლოში შეიტანა, გარეთ
აღარც გამოუხედავს.

– კარგი კაცია! – ჩაილაპარაკა ერე-

კლემ. თვითონაც სულხანივით თოხი
მხარზე გაიდო და ბიჭს ანიშნა, წავიდე-
თო.

მალე პაპა-შვილიშვილი სარეველამო-
დებულ სიმინდის ნაკვეთში ჩადგნენ და
მინას თოხები დასცხეს.

უცებ პაპამ ბებრული, მაგრამ სასია-
მოვნო ხმით სიმღერა წამოიწყო:

*ვთოხნოთ და ვთოხნოთ სიმინდი,
მალე ყანის მკაც მოვაოო...*

მოხუცის ხმას ყმანვილის ზარივით
წკრიალა ხმაც შეუერთდა. სიმღერამ სამ-
ჭედლომდე მიაღწია. მიხომ ერთხანს უს-
მინა, მერე გავარვარებულ რკინას მძლავ-
რად დასცხო, ჰაერში ცეცხლოვანი ნა-
პერნკლები გაიფანტა.

გრდემლზე ახალი, პატარა თოხი იჭე-
დებოდა.




მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე



იპოვე ეს საგნები ნახაჯზე.


მხატვარი ნატალია კუსტია



ამოხსენი თევზფორდი და თქროს თევზის კყდზე ამოვიოთხე თევზის ერთ-ერთი სახეობის სახელწოდება. ყურადღება მიაქციე აღნიშვნას - .

1. ფრჩხილზე წასასმელი ფერადი სითხე;
2. ხეკაკუნა ფრინველი;
3. თითის სამკაული;
4. ნახევარწრის ფორმის სანიაგებელი;
5. „ლარიბი და ქილა....“;
6. ადვილი, მარტივი.

მომზადა
ნინი ორპელმა



ვინი და კაცი

კახეთში ნასვლა გადავწყვიტე. გადავიკიდე მხარზე ზუგრჩანთა და მატარებლის სადგურისკენ გავწიე. ბებერმა და მტვრიანმა ელმავალმა ერთი დაიქოშინა, ძრავიდან ჰაერი გამოუშვა, მერე საყვირიც მიაყოლა და დაიძრა – ნელი სვლით გაუყვა სარკესავით ალაპლაპებულ რელსებს. უკან დარჩა დედაქალაქის ხმაურიანი ქუჩები. ვარკეთილს გავცდით და აი, ლილოს დასახლებასთან ელმავალმა სიჩქარეს მოუმატა, სართიჭალის აღმართს მიადგა, თან საყვირს იძლეოდა, გზა დამითმეთო. გასაკვირია, ან ვინ უნდა გადადგომოდა წინ, კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. ამ ნახევრად უდაბნოში ჯორისკუდას ბუჩქების მეტი არაფერი ხარობს. მართალია, მარადმწვანეა, მაგრამ ისეთი შეუხედავია, ძველ, გადაქექილ ცოცხს მაგონებს.

იარა, იარა ბებერმა ელმავალმა და შუაგულ კახეთში პატარა ქალაქ გურჯაანს მიადგა. ძველ ხალხურ სიმღერაში სწორედ ასე მღერიან: „გურჯაანო, შენ კახეთის გული ხარ“... სიმღერაც რომ არ იყოს, გეოგრაფიულ რუკაზე რომ დახედავ კახეთის მხარეს, თვალთ შეატყობ – ის ამ რეგიონის ცენტრია.

ბაქანზე ჩამოვდგი თუ არა ფეხი, ჩემ ძველ მეგობართან გავემართე. მას ერთი პაპა შემორჩა, მსოფლიოში, ალბათ, ყველაზე ხნიერი და ყველაზე გამრჯე. მარანში ღვინოს არავის აკარებს: თვითონ უნდა ჩამოასხას, დღესასწაული იქნება თუ სხვა რამ, თავის გემოზე უნდა გადაავსოს ნაკლული ქვევრები. ახლა რა კარგი ზღაპრების მოყოლა იცის?! აბა, თქვენ საიდან გეცოდინებათ. ჯერ შოთებს დატეხავდა, შიგ გემრიელ ყველს ჩაგვიდებდა და ყველას ჩამოგვირიგებდა. მერე ბადაგით დამტკბარ ღვინოს ჩამოატარებდა თიხის თასით და ზედ მხიარულ ზღაპარსაც მოაყოლებდა... „იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, რომელსაც ჰყავდა ერთი ვირი. ერთ დღეს მივიდა კაცი ვირთან და

უბნება, რალაც მინდა ვითხრა და ხომ არ გენყინებო?

– რატომ უნდა მენყინოს, ამდენი ხანია, ერთგულად გემსახურები. არა მგონია, რამე საყვედური დამემსახურებინოს.

– გეთანხმები, – უთხრა კაცმა, – მაგრამ ხომ ხედავ, დაბერდი, მუხლებში ძალა აღარ გაქვს. შენი შენახვა აღარ მიღირს, ნადი შენს გზაზე, სადაც გინდა და საკუთარ თავს თვითონ მიხედე.

ენყინა ვირს, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, ადგა და წავიდა ტყეში. იარა, იარა და ერთ მაღალ მუხის ხეს მიადგა. ახედა ხეს და ხედავს, ფულუროა. ამ ფულუროში ერთი ბუ ზის და თვლემს. ვირმა ჩახლეჩილი ხმით ერთი დაიყოყინა. ბუ დაფრთხა და გამოედვიდა.

– რა გაყვირებს, შე მართლა ვირო?!

– როგორ თუ რა მაყვირებს, ჩემმა პატრონმა სახლიდან გამომავდო. დავდივარ ტყეში და არ ვიცი, ვის შევაფარო თავი, – მიუგო ვირმა.

– ჰმ! არ გყოლია კარგი პატრონი. მე კი გაგიმასპინძლდები ტყის ნობათით, მაგრამ იცოდე, ამ ადგილს ნადირ-ფრინველი და მტაცებლები ხშირად სტუმრობენ, ფრთხილად იყავი, ემანდ, რაიმე მარცხი არ შეგემთხვეს.

– მაღლობელი ვარ მასპინძლობისთვის, შენს რჩევასაც უყურადღებოდ არ დავტოვებ, – ვირმა მაღლობის ნიშნად ყურები ააპარტყუნა და წინა კბილებით ბალახს დაუნყო წინკნა.

ამასობაში დაღამდა. ცაზე ვარსკვლავები აციმციმდნენ, თითქოს ობლად დარჩენილები მამა მთვარეს ეპატიჟებინაო თავისთან. აი, გამოჩნდა ცის კამარაზე ვერცხლისფერი ბურთვით ლამაზი მთვარე. ბუ სადღაც გაფრინდა თავის საქმეებზე, დარჩა ვირი მართო. უცბად ხედავს, ტყის სიღრმიდან რალაც ცხოველისმაგვარი ლანდი მოემართება მის-

კენ, თან სიბნელეში მისი ორი თვალი ანათებს. ვირმა იფიქრა, ახლა კი დავიღუპეო და ბუს გაფრთხილება გაახსენდა. არ გასულა ნუთი და თავზე მშიერი მგელი დაადგა.

– ეს რა საჩუქარი გამომიგზავნა განგებამ. ჯანდაბას ჩემი თავი, ხომ არ მეჩვენება? ეს შენ ხარ, ვირუკელა, თუ თვალი მატყუებს?

– მე გახლავართ, პატივცემულო, – მიუგო შეშინებულმა ვირმა.

– კაცო, მოდი და ნუ გაგიკვირდება, მე მგელი ვარ და ჩემი ადგილი ტყეშია, შენი ვერა გამიგია რა, ადამიანის ერთგულო მეგობარო, შუალამისას ამ უღრან ტყეში რა დაგრჩენია.

ვირმა დანვრილებით უამბო მგელს მთელი თავისი თავგადასავალი, იფიქრა, შევეცოდები და აღარ შემეჭამსო. თქვენ წარმოიდგინეთ, მგელმა ვირი მართლა არ შეჭამა. შეეცოდა თუ რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ ვირის შეჭმაზე უარი თქვა.

– შე უბედურო, – უთხრა მგელმა, – მართლა დაბერებულხარ და გამოყეყეჩებულხარ. თითსაც არ დაგაკარებ, თუ ერთ პირობას შემისრულებ.

– მიბრძანე, პატივცემულო, თუ შემიძლია, არ დაგზარდები და მოგემსახურები, – გაუხარდა ვირს.

– შენს ყოფილ პატრონთან უნდა მიმიყვანო. მოტყუებით კარი გააღებინე, მე იქვე ვიქნები ჩასაფრებული. მერე მე ვიცი და ჩემმა

მგლობამ, შენს პატრონს სულ თავბედი უნდა ვანყევლინო.

რა ექნა ვირს, დასთანხმდა, თან გულში ფიქრობდა, ეს რა შარში გავეხვიეო. სხვა რა გზა ჰქონდა, გაუყვა ტყიდან სოფლისკენ მიმავალ გზას. წინ ვირი მიდის, უკან კი მშიერი მგელი მიჰყვება. მიადგნენ ვირის პატრონის სახლს.

მგელმა უთხრა, დაუძახე შენს პატრონს, უთხარი ჭიშკარი გაგილოსო.

– ჩემი პატრონი ჭკვიანია, ასე ადვილად არ მოტყუვდება, – მიუგო ვირმა.

– აბა, რას მთავაზობ, შენი სულის ცხოვნებამ? – შეულრინა მგელმა.

– რას და, გზაზე რომ მოვდიოდით, ერთი ძველი კასრი შევნიშნე. მოვავოროთ ეს კასრი ჭიშკართან, შენ შიგ ჩახტი, მე კი თავს კარგად მოვუხუფავ, რომ ჩემმა პატრონმა ვერ დაგინახოს. მივავოროებ ჭიშკართან. კასრს რომ დაინახავს, გაუხარდება, კარებს გააღებს, მერე შენ იცი და შენმა მგლობამ.

მოტყუვდა მგელი. დაუჯერა ვირს და ცარიელ კასრში ჩახტა. ვირმა კასრს თავი მაგრად მოუხუფა, თავდაღმართზე გააგორა და ხევში გადაუძახა. მეორე დილას მთელმა სოფელმა გაიგო ბებერი ვირის ერთგულებისა და მოხერხებულობის ამბავი. ვირის ყოფილმა პატრონმა ყველაზე მეტად გაიხარა. მან ვირი სახლში დააბრუნა და სიცოცხლის ბოლომდე გვერდიდან არ მოუშორებია.



ზღაპარი ტყუილების მოყვარულთაზე

არც რა იყო არაფრისა, არც რა ჰქონდათ არაფრისი, ამბავ იყო, ზღაპრად
თქმული, ამ ცისა და ამ ბარისი. მეღიაზე გიამბობთ, მოსაყოლად მართლაც
ღირს, დათვს გოდრებით დაედგას, რაც საქმე დღეს მეღას სჭირს:

აქაოდა, კუდი მაქვსო?!
ტყეს ტრაბახით იკლებდა,
და იმ კუდის გმირულ ამბის
ჩამოკენჭვას იწყებდა...

როცა კვებნას მორჩებოდა, –
მხოლოდ სიტყვით, განა მართლა, –
ყველას სტუმრად იწვევდა.

სთავაზობდა მენიუს:
(თუმცა წაკითხულს სჯობს ნანახი),
ტყის ქათამი – საწებელით,
ბატი – ცივად,
იხვი – მაწვნით,
ხბოს არტალა – არჯაკელით,
ქამასოკო – უგრეხელით,
ცხელკეცური – იმერული,
ბოსტნეული,
ფხალეული...



*

ამდენ სურსათ-სანოვაგეს
ხომ სჭირდება დესერტი?

ჰოდა, სადაც ას ტყუილს ამბობს,
იყოს ერთი ტყუილით მეტი!
აი, სწორედ ამ ტყუილისთვის
მოხდა იგი, რაც მოხდა;
მელაკუდამ ხელი მიჰყო
დათვის სკიდან ღამდამობით
გოლეულის ამოცლას.

არ ვიცი, ვინ დაპატიუა,
არც ის – საიდან გამოჩნდა,
მელას იმ ვითომ სუფრაზე
სტუმრად დათვუკაც აღმოჩნდა!
რა თვალი მოჰკრა თაფლ-ფიჭას,
ჯერ კარგად აწონ-დაწონა
(დათვი დინჯია – ხომ იციოთ,
ძნელად რომ ბრაზობს – ისიც).
მერე?..

მერე, იცოცხლე, განრისხდა;
ხელი დაავლო მელას:
– შენნაირ ქურდს და ავმუცელს
ეს დღე მოეღისო, ყველას!



მინაწერი:

- რა უქნა?
- ვაი მტერს და ავს,
მელა ჩაავლო დღეში,
ის კუდი, ასე ნაქები,
დააჭერინა ხელში!

მხატვარი
ნატალია კუცია



გააკეთე შენი ხელით



კონსტანტინე
ლომაძე, 8 წლის



ბაყაყური

წყალი გათბა მდინარეში,
ახლა ნახეთ ჭყაპაჭყუპი,
ცურაობენ ნიკა, გიგა –
სოფლის თვალი: ძმები ტყუპი.

ბაყაყური გაცურეს და
იცინიან ბაყაყები,
ჩვენ გვბაძავენ ცურვაში და...
ხან გამოსდით მაღაყები.

ჩვენ ყიყინიც კარგი ვიცით
შეწყობილი რომ გვაქვს ხმები,
ცურვაში კი ჩვენ რომ გვბაძავენ,
მით ვამაყობთ – ბაყაყები.

და... ბაყაყებს უთხრეს ძმებმა:
ჩვენ არ გვინდა ეგ ყიყინი,
ყიყინი თუ მოგვინდება,
ბატებსა და იხვს ვიყიდით.

მაგრამ... თქვენზე რა ვთქვათ კარგი? –
ბაყაყებმა გვიგდეთ ყური,
არ გიწუნებთ წყალში ცურვას
და... ჩვენც მოგვწონს ბაყაყური.

ქოღგები

სულ ბუერას ფოთლებია
მინდორს გარს რომ მოვლებია!
ეს რა კარგი ქოღგებია, –
ნანას ქოღგად მორგებია.

მხატვარი
ლიკა გურგენაშვილი

ვაშირი, მაქაჩა და კოტე

ჩემო პატარავ, ხომ უთქვამთ შენთვის, რა ლამაზია კახეთი? მისი ყველაზე დიდი სოფელი ყვარელი. როგორი ჩუმი და წყნარია მდინარე დურუჯი, მაგრამ, თუ გახელდა, გაბრაზდა, ისეთი ღრიალით წამოვა, გადმოფარავს მთელ ქვიან რიყეს.

ამ სოფელში ბევრი დიდებული ადამიანი დაიბადა: ილია ჭავჭავაძე, კოტე მარჯანიშვილი... გაგიგონია კოტე მარჯანიშვილი? ალბათ, გაგიგონია. მარჯანიშვილის ქუჩაზე რომ თეატრია, ის მისი სახელობისაა. დიდი რეჟისორი ბრძანდებოდა კოტე მარჯანიშვილი, სიბრძნითა და პატიოსნებით აღვსილი.

ყვარელში ლამაზი დიდი სახლი ედგა კოტე მარჯანიშვილის მშობლებს: ალექსანდრე მარჯანიშვილსა და ელისაბედ ჭავჭავაძე-მარჯანიშვილისას, ეზოც უმშვენიერესი იყო.

ერთ მშვენიერ დღეს ალექსანდრე, ჩვეულებისამებრ, თავისი სახლის მეორე სართულის აივანზე სავარძელში ჩაბრძანდა და არემარეს გადახედა. ამ დროს კიბეზე ახალგაზრდა კაცმა ამოირბინა და ილიას ჟურნა-

ლი „ივერია“ მიაართვა. ალექსანდრემ უნებურად ჟურნალი შუაში გადაშალა. სახეზე სიამოვნება გამოეხატა, ჟურნალის დიდ გვერდზე, მარცხნივ, კუთხეში, საქართველოს ბულბულის, აკაკი წერეთლის სურათი იყო დაბეჭდილი, ცოტა მოშორებით ეწერა: „ვაშლი და შაქარა“. ოჯახის უფროსმა გაზეთი გულთან მიიხუტა და დაიძახა: – კოტე, აბა, ერთი აივანზე ამობრძანდი!

ბიჭუნა კიბეზე სწრაფად ამოვიდა და მამას მიეახლა.

– აბა, მოდი, მუხლზე ჩამომაჯექ, რა უნდა ნაგიკითხო.

ცნობისმოყვარე პატარა კოტემ ყურები ცქციტა, მამის გაშლილ ჟურნალში ჩაიჭყიტა.

– გახსოვს, ვინ ბრძანდება ეს?

– აკაკი წერეთელი! – ცოცხლად უპასუხა კოტემ. – საქართველოს ბულბული.

ბატონი ალექსანდრე შვილს შუბლზე ეამბოროა. ცოტა ხანში თავის სამუშაო ოთახში შებრძანდა, სანერ მაგიდას მიუჯდა და აკაკი წერეთელს წერილი მისწერა. წერილში სთხოვდა: „საყვარელო და დიდად საპატივცემუ-



ლო ბატონო აკაკი, უმორჩილესად გთხოვთ მთელი ჩემი ოჯახი, ყვარელში სტუმრად გვეწვიოთ. თქვენზე საპატივცემლო სტუმარი არავინ იქნება. როცა წამობრძანებას დააპირებთ, მიდეპეშეთ, ეტლს გაახლებთ. პატივისმცემელი ალექსანდრე მარჯანიშვილი.“ მეორე დღეს, საღამოს, დეპეშა უკვე მოვიდა – სამ დღეში მგოსანი მარჯანიშვილების სტუმარი იქნებოდა.

შემოდგომის ნათელი, ღამაში დილა გათენდა. ჰაერში თათარას, მაჭრის სურნელი ტრიალებდა. მარჯანიშვილების ეზოში განსაკუთრებული ფუსფუსი შეიმჩნეოდა. დადგა ბედნიერი წუთიც. ცხენების ფლოკების თქარათქურის ხმა გაისმა, გამოჩნდა ეტლი. მგზავრს ნათელივით ედგა თეთრი თმის გვირგვინი, ქათქათა წვერი უმშვენებდა გონიერ სახეს.

მარჯანიშვილებს ჭიშკარი ფართოდ გაეღოთ. უამრავი ხალხი ირეოდა ქუჩაში, ჭიშკართან, ეზოში, კიბეზეც კი. სახლის პატრონი და დიასახლისი ეტლს შეეგებნენ. ბატონმა ალექსანდრემ მგოსანს ხელი გაუწოდა და ეტლიდან ჩამოსვლაში დაეხმარა: – მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, მობრძანდით. ხალხმა კახური მრავალჟამიერი შემოსდახა. აკაკი დადგა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო ცრემლის მოსანმენდად. თონესთან გრძელ მაგიდაზე ქადა-ნაზუქი, წვერაპრეხილი შოთები ელაგა. იქვე სპილენძის ქვაბში თათარა თუხთუხებდა, ახალამოვლებულ ჩურჩხელებს თათარა წვეთავდა. ირგვლივ მაჭრის სურნელი ტრიალებდა. მარნის კარი ფართოდ გაეღოთ, ქვევრები დევებივით იცქირებოდნენ. შიგლვინო ლივლივებდა. კედლის თაროზე თიხის ჯამ-ჭურჭელი ეწყო: დოქები, სურები. მგოსანმა ხელები გაშალა და თქვა: „აქ ნამდვილი საქართველოა!“

მასპინძელი სტუმარს გაუძღვა. კიბეზე აბრძანდნენ, აივანზე ქათქათა სუფრაგა-

დაფარებულ მაგიდას მიუახლოვდნენ. ალექსანდრემ სტუმარი ხელ-პირის დასაბანად გაიყვანა. მალე დაბრუნდნენ. აკაკი სუფრის თავში მალალ სავარძელში დააბრძანეს, მეორე თავში მასპინძელი იდგა. კოტე იქვე დაცუნცულედა. აკაკის ბავშვი არ გამოჰპარვია. თავისთან მოიხმო, ჯიბიდან ვაშლი ამოიღო და უთხრა: – აი, შაქარამ გამოგიგზავნა. კოტემ მადლობა გადაუხადა, მამისკენ გაიხედა, გაუღიმა და გაიქცა.

ყრმის ოცნებას ვინ გაიგებს. კოტემ ვაშლი ხელისგულეში მოიქცია და ჩასჩურჩულა: „შენ, მე დანას არ მოგაკარებ. შაქარა რომ მოვა, გაიხარებს, ქარის ჩამოვარდნილ ვაშლს საღ-საღამათს დავახვედრებ.“

სიჩუმე ჩამოვარდა. თამადობა მასპინძელმა იკისრა. მთვარის ამოსვლამდე გრძელდებოდა ლხინი. უეცრად კოტემ ძიძასთან მიიბრინა, კალთაზე ჩამონია. ძიძა დაიხარა: „რაო, გენაცვალე?“ კოტემ ყურში ჩასჩურჩულა: „მითხარი რა, როგორ წერს მგოსანი ლექსებს?“ ძიძამ ხელები გადაატრიალ-გადმოატრიალა: გავიგებ და გეტყვიო, – უთხრა სიცილით და ბავშვი დასაძინებლად წაიყვანა.

სტუმრები ნავიდ-წამოვიდნენ. მასპინძელი და მგოსანი აივანზე დასხდნენ, არემარეს გადაჰყურებდნენ, დურუჯს, კახელების ღამაზ კარმიდამოებს და ორივეს ერთი აზრი უტრიალებდა თავში: „ღმერთო, მშვიდობა და სიკეთე ქენი საქართველოში.“

ალექსანდრე სტუმარს თავის სამუშაო ოთახში შეუძღვა. აკაკიმ თვალი გადაავლო ქათქათა ლოგინს; მაგიდაზე ფურცლები და კალმისტარი ეწყო, დიდი ღამაზა ბრიალებდა: „აი, ბატონო აკაკი, ღამით მუშაობას თუ ისურვებთ.“ აკაკიმ სიმყუდროვე იგრძნო, წერის სურვილი გაუჩნდა. სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს გამოემშვიდობა – ღამეებისა უსურვეს. აკაკი შემობრუნდა, ზემოთა შესამოსელი გაიხადა, სკამზე ჩამოკიდა,



მაგიდას მოხერხებულად მიუჯდა. არ იკითხავთ, ამ დროს კოტე სად იყო? ჯერ თავი მოიმძინარა, მერე კი ძიძამ საბანი მშვიდად რომ მიახურა და ოთახიდან გავიდა, ლოგინიდან ჩამოსრიალდა და ხმამაღლა თქვა: „არ უნდა ვნახო, როგორ წერს ლექსებს. არ უნდა ვიცოდე, როგორ იწერება ლექსი?“ მერე სად წავიდა, ჯერ არ გეტყვით.

ის იყო, აკაკი სკამზე მოეწყო, დაღლილმა ფეხები გაშალა, მაგრამ რაღაცამ შეუშალა ხელი და... საშინელი ყვირილიც გაისმა. მგოსანმა სასწრაფოდ გამოსწია სკამი და მაგიდის ქვეშ შეიხედა. „მანდ რას აკეთებ, გენაცვალე?“ ქვემოდან კოტე დიდრონი, ჭკვიანი თვალებით იცქირებოდა. ბიჭმა არაფერი უპასუხა. ოთხით გამოსვლა დაიწყო, შეტრიალდა და კარში გასვლა დააპირა. ხმაურზე დედ-მამა და ძიძა შემოცვივდნენ და რას ხედავენ – ანგელოზით გრძელ პერანგიანი კოტე დგას, აკაკის კი გაკვირვებისგან ხელი გაუშლია.

– აქ რა გინდა, კოტე? – ჰკითხა დედამ.

– ხომ უნდა მენახა, როგორ წერს ლექსებს? გაისმა ალერსიანი ხარხარი. აკაკის უნდოდა, კოტე ხელში აეყვანა, მაგრამ ბავშვი არ დანებდა. მაშინ მამამ აიტაცა ბიჭი: „აბა, ვნახოთ“ და სანერ მაგიდას დააცქერდა. კოტემ მამას ყურში ჩასჩურჩულა: „ახლა ვიცი, როგორ წერს მგოსანი ლექსებს.“

მშობლებმა ბოდიში მოუხადეს აკაკის შეწუხებისთვის. „რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, ჩემს ცხოვრებაში განუმეორებელია ეს ღამე. თუ მოვესწარი, ეს ყმანვილი დიდად გვასახელებს“.

მასპინძლები ოთახიდან გაილანდნენ.

კარგ გუნებაზე დამდგარი მგოსანი სარკმელს მიუახლოვდა. მოშორებით გალობა გაისმა. მგოსანი თითქოს შეკრთა, ნათლად წარმოიდგინა – ტოტზე შემომჯდარი პატარა კვერცხისგულისფერი ჩიტი, უტკბესი ხმით მეგობარს რომ უხმობდა. მთვარე დაჰნათოდა არემარეს. აკაკიმ მნათობს შეჰღიმა. თითქოს დამორცხვებულმა მთვარემ ლურჯი ღრუბელი თავსაფარივით აიფარა.

მხატვარი
მალხაზ კუსაშვილი



თურქი სიზმარა

სიზმრად ვნახე, ჩემს ქალაქში
სასწაული ხდებოდა:
ვირი, დათვი, მაიმუნი –
ყველა ჭორებს ჰყვებოდა:
განუზრახავთ ზოოპარკში
დიდი ფართის მოწყობა,
ხვალ დილიდან დაუგეგმავთ
დედა სპილოს დღეობა.
შეკრებილა ზოოპარკის
ყველა ბინადარი,
ზოგს ბუმტები მოჰქონდა,
ზოგსაც – გრძელი სკამი.
ყვავილები და ბაფთები
შეუკერავს ნიანგს,
ეზოს გასალამაზებლად
ვეფხვს სირბილით მიაქვს.

დატრიალდა, მოამზადა
მგელმა დიდი ქვაბი,
წინ დაიდო ერბო, კვერცხი,
რძე და შოკოლადი.
– წინსაფარი სად არისო? –
დაუძახა მელას.
– ნუ განიცდი, გენაცვალე,
შენ გვერდით ვართ ყველა.
სამზადისი რომ დასრულდა,
უცებ ჩამობნელდა.
ტორტით ხელში შემოვიდა
ჩვენი დათვი დრუნჩა.
ულცავენ დედა სპილოს,
უხარია ყველას,
მდერიან და იძახიან:
– ოდელია დელას!



ნახატი
ავტორისა



ბონიფაცი და მისი ძმისშვილები

ერთ ცირკში, სადაც ბევრი ნახერხი ეყარა და უამრავი მუსიკოსი მუშაობდა, ჰყავდათ ლომიც, სახელად ბონიფაცი. ეს გახლდათ ძალიან კარგად აღზრდილი ლომი, კეთილი, დაუზარელი. გამეორება არ სჭიდებოდა – არასდროს მომხდარა, რომ ბონიფაციის წარმოდგენა ჩაეშალოს. ამის გამო, ცირკის დირექტორი ხშირად იმეორებდა ხოლმე:

– მიბაძეთ ბონიფაციის, ის სამაგალითო ლომია!

ბავშვებს ბონიფაცი ძალიან უყვარდათ და წერილებში სწერდნენ: „ძვირფასო ბონიფაცი, დღემდე ვერ ვივინყებ იმ დღეს, როცა წინა თათებზე დადიოდი, თავისუფალი ტანვარჯიშის ილეთებს გვაჩვენებდი და რგოლს ატრიალებდი, ტაშის დაკვრისგან კინალამ ხელები გადავიტყავეთ. ასე ყველა ლომს როდი შეუძლია.“

– კიდევ! – ყვიროდნენ გოგონები და ბიჭუნები. და ეს გულკეთილი ბონიფაციც რგოლს ატრიალებდა, თავისუფალი ტანვარჯიშის ილეთებს აკეთებდა, წინა თათებზე დადიოდა და ამასთანავე იღიმოდა კიდევც.

ცირკის დირექტორს ძალიან კარგად ესმოდა ბონიფაციისა – მასთან ერთად სასეირნოდ დადიოდა, ბანანის საყიდლად კი ხილის მაღაზიაში დაჰყვებოდა, რადგან ბონიფაციის ძალიან უყვარდა ბანანები.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ზუსტად ასე დასეირნობდნენ ქალაქში, რომელიც ბავშვებით იყო სავსე და ბონიფაციმ მოულოდნელად იკითხა.

– რატომ არის ქუჩაში ამდენი ბავშვი, სკოლაში რატომ არ არიან?



– სკოლაში რატომ უნდა იყვნენ? – უპასუხა დირექტორმა. – ახლა ზაფხულია და არდადეგები აქვთ.

– არდადეგები? – ამოიოხრა ბონიფაციმ.
– მე კი ჯერ არასდროს მქონია არდადეგები. გზა განაგრძეს, დირექტორი ცოტა ხნით გაჩუმდა და მერე შეეკითხა:

– კარგი, შენ სამაგალითო ლომი ხარ, არდადეგებზე რომ გაგიშვა, სად წახვალ?

– ბებიასთან, სხვაგან სად უნდა წავიდე! – უპასუხა ლომმა. – ეს ხომ თავისთავად ცხადია?

„მართლაც, – გაიფიქრა დირექტორმა, – სულ დამავინწყდა, რომ ლომებსაც ჰყავთ ბებიები“.

– კარგი, გაემგზავრე, ოღონდ პირველი სექტემბრისთვის უნდა დაბრუნდე!

ბონიფაცი სიხარულისგან კინალამ გაგიჟდა. ასეთი რამის იმედი საერთოდ არ ჰქონდა.

– არდადეგები არდადეგებია. რა უნდა იყოს არდადეგებზე მშვენიერი? – უპასუხა დირექტორს. – გმადლობ, ძალიან გამახარე.

და ბონიფაცი ბარგის ჩასალაგებლად, შემდეგ კი აფრიკაში გასამგზავრებელი ბილეთისა და ბებიასთვის საჩუქრის საყიდლად გაიქცა.

უნივერსალში იმაზე მეტი ხალხი იყო, ვიდრე ჭიანჭველები ბუდეში, მაგრამ როდესაც დახლთან ლომი გამოჩნდა, ყველა შეეცადა, მისთვის ადგილი დაეთმო, გამყიდველმა კი ჰკითხა:

– რას ინებებთ: სავარცხელს ფაფრისთვის თუ პასტას თქვენი მშვენიერი კბილებისთვის?

– არც სავარცხელი მჭირდება და არც პასტა, – უპასუხა ბონიფაციმ. – არდადეგებზე ბებიასთან მივემგზავრები და მინდა, რაიმე საჩუქარი ვუყიდო.

– თქვენი კარგად მესმის, – უპასუხა გამყიდველმა და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ შესთავაზა: – იქნებ, შალის თავშალი შეარჩიოთ, ოთახის ჩუსტები ან სათვალე?

– რაში სჭირდება თავშალი ან ოთახის ჩუსტები? – გაუკვირდა ბონიფაცის. – აფრიკაში სიცხეა. გეოგრაფიას ცუდად სწავლობდით? სათვალე კი... ეს, მგონი, გამოდგება. ალბათ, მზის სათვალეს გულისხმობთ, არა?

– რა თქმა უნდა, – უპასუხა გამყიდველმა. – და ამის ყიდვასაც გირჩევთ.

ამ სიტყვებზე მწვანე ხალათი ამოიღო, რომელზეც რა აღარ ეხატა: ოთხფოთლიანი სამყურა ბალახი, გვიმრა, ვარდები და პეპელა-ადმირალი. ასეთ ხალათს ყოველთვის კი ვერ ნახავდით! ეს ნამდვილი ბებერი ლომის ხალათი გახლდათ. ბონიფაციმ ყველაფერი დაუფიქრებლად შეიძინა და სადგურისკენ გაემართა.

მატარებლით გაემგზავრა. ფანჯრიდან ათვალეებდა სახლებს,



ბალებს და ბავშვებს ხელს უქნევდა, ბავშვები კი უყურებდნენ და ფიქრობდნენ: „შეხედეთ, ცირკი მიემგზავრება“. ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ცირკი კი არა, მხოლოდ ერთი ბედნიერი ლომი მიემგზავრებოდა – არდადეგებზე ბებიასთან მიიჩქაროდა. შემდეგ ბონიფაციმ გზა გემით განაგრძო – ზვიგენებს წყალში კრუასანებს უყრიდა, გემბანზე მზის აბაზანებს იღებდა და იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ივლიდა საბანაოდ და რა კარგი იქნებოდა ეს: არც დღისა და არც საღამოს წარმოდგენები – საშუალება ექნება, ყოველდღიურად გამოიძინოს, ბანანები მიირთვას და ბებიას ესაუბროს.

სანამ ამაზე ფიქრობდა, გემი ნაპირს მიაღწა და ვილაცამ დაიძახა:

– აფრიკაში ვართ, ჩამოდით!

როგორც იქნა, ბონიფაცი შინ იყო.

„როგორ შეცვლილა აქაურობა, – გაიფიქრა თავისთვის. – მახსოვს, აქ პანკრაციისთან და სარვაციისთან ერთად ვთამაშობდი, ახლა კი ამ ადგილას თამბაქოს დუქანია“.

ბონიფაცი ტროპიკული ტყის ბილიკზე მიაბიჯებდა, მძიმე ჩემოდანი მიჰქონდა და ფიქრობდა: „ნეტა, მალე მივალწევდე“. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია,

შორიდან დაინახა ბაღი, რომელშიც სარწველა სკამზე მოხუცი ლომი იჯდა. ჩუმ-ჩუმად მიეპარა, ისე, როგორც ლომებმა იციან ხოლმე, შემდეგ კი ისე შეუყვება და თანაც ისე ხმამაღლა, რომ ბებია შეხტა და თათები გაასავსავა.


– ბონიფაცი, შენ ხარ? ვერაფრით გიცნობდი. აქ როგორ აღმოჩნდი?

ორივეს ძალიან გაუხარდა ერთმანეთის ნახვა. ბონიფაციმ საჩუქრები ამოალაგა. ბებია მათვალე გაიკეთა და ხალათი ჩაიცვა, რომელიც მშვენივრად მოერგო, ვარდებსა და სამყურას შორის ნამდვილი ლომივით გამოიყურებოდა. შემდეგ ბონიფაცი უთხრა:

– შეუძლებელია, არ დავიტრაბახო!

და ყოველი მიმართულებით გამომწვევად და ხმამაღლა დაიღრიალა, როგორც მოხუც ლომს შეეფერებოდა:

– მოდით, ნახეთ, ბონიფაცი ჩამოვიდა და დიდებული ხალათი და სათვალე ჩამომიტანა.



თვალის დახამხამებაში საიდან-
ღაც ორასამდე ლომი გამოჩნდა.
ყველანი ბონიფაციის ნათესავეები
იყვნენ – ბიძები, დეიდები, უამრავი
ბიძაშვილი და აუარებელი პა-
ტარა ძმისშვილი. ყველა მიესალმა
ბონიფაციის, ხალათი და სათვალე
დაათვალიერეს და ჰკითხეს:

– ეს რა არის? იქ რა არის? – და
პეპლებსა და ყვავილებს თითს
ადებდნენ.

ბონიფაციმ აუხსნა:

– ეს სამყურაა, ეს – გვიმრა, ეს –
ვარდები, ეს კი პეპულა-ადმირალია.
აფრიკაში ასეთებს ვერ შეხვდებით,
საზღვარგარეთიდან ჩამოვიტანე,
სადაც ცირკი და უნივერსალია.

– გვითხარი, ბონიფაცი, იქ რას
აკეთებ? – ეკითხებოდნენ ლომები
და ერთმანეთს არ აცდიდნენ ლა-
პარაკს, რადგანაც ყველას ძალიან
აინტერესებდა.


ბონიფაცი მოუყვა, როგორ და-
დიოდა წინა თათებზე, აკეთებდა
თავისუფალი ტანვარჯიშის ილე-
თებს და ატრიალებდა რგოლს. იმის
გამო, რომ ლომები გაკვირვებულე-
ბი იყვნენ და არაფერზე წარმოდგე-
ნა არ ჰქონდათ, ბონიფაციმ აჩვენა,
თუ როგორ ატრიალებენ რგოლებს.

ლომებს თვალეები გაუფართოვ-
დათ, ცხოვრებაში ასეთი არაფერი
ენახათ და თავისთვის გაიფიქრეს: „დაუჯე-
რებელია! აქ, ალბათ, რაღაც ფოკუსია, იმი-
ტომ, რომ ასეთი რამე ყველა ლომს არ შეუ-
ძლია“.

ბონიფაციის პატარა ძმისშვილები კი აყ-
ვირდნენ:


– კიდევ! კიდევ! მაგარია! კიდევ გვინდა!

და შეუსვენებლად უკრავდნენ ტაშს. ბო-
ნიფაცი ხედავდა, თუ როგორ უხაროდათ
და იცინოდნენ მისი პატარა ძმისშვილები
და გახარებული ხელმეორედ ატრიალებდა
რგოლს, წინა თათებზე დადიოდა და თავისუ-
ფალი ტანვარჯიშის ილეთებს იმეორებდა.



ნპატარები ძლივს დააძინეს, დილით კი,
ირიჟრაჟა თუ არა, მაშინვე ბონიფაციისთან
გაიქცნენ. კეთილი ბონიფაცი კი დილიდან
სალამომდე წარმოდგენებს მართავდა. ბა-
ნაობისა და ბანანის ჭამის დრო საერთოდ არ
რჩებოდა და თავისთვის ფიქრობდა: „ვერა-
ფერს იზამ, არდადეგების მიუხედავად, მე
მაინც ცირკის სამაგალითო ლომი ვარ“. და
რამდენადაც შეეძლო, მხიარულად იღიმე-
ბოდა, ძმისშვილები კი მთელი ძალით ტაშს
უკრავდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

– როცა სკოლაში წერას ვისწავლით, წე-
რილი მივწეროთ და მოვუყვეთ, თუ როგორ
მოგვეწონა ეს ყველაფერი.



ფოტოგრაფი დათვი

ტყეში ფოტოსესიაა,
 ფოტოგრაფობს დრუნა დათვი:
 – ციყუნია, სად აძვერი?!
 გამიფუჭე, გოგო, კადრი!
 – ზღარბო, ცხვირი დამანახე!
 – გამიღიმე, თაგუნია!
 – კოდალებო, ნუ დამდალეთ,
 შემოგეგლოთ დათუნია!



მანანა ქურდაძე

დათუნია სტუმრები

დათუნია პრანჭიას
 ფარჩის კაბა აცვია,
 ისე, ისე უხდება,
 გახდაც რომ არ უნდება.
 დაპატიჟა სტუმრები:
 ზღარბი ზაბო, ბაჭია,
 არ დატოვა უბრები
 თბობა და მაჭიტა.

ტყის ნობათით მაგიდა
 ათასფერად ბზინვარებს,
 მაგრამ, აბა, რად გინდა,
 დათუნია იგვიანებს.
 მაგიდას შემოუსხდნენ
 მოწვეული სტუმრები
 და მასპინძლის ლოღინით
 გაუწყაღდათ გულები.
 ეს კი თურმე სარკის წინ
 პროწიალობს, პრანჭია,
 სადაცაა სტუმრები
 მარწყვის დიდ ტორტს გაჭრიან.
 აბა, რის დათუნიაა,
 დიპუცა და მსუნაგი,
 გამობრძანდა სტუმრებთან
 ორი ქილა მურაბით.
 იცეკვეს და იმღერეს,
 ამოივსეს მუცლები.
 ასეთი ჰყავს დათუნია
 მეგობრები უცვლელი.



მხატვარი
თია მიქაია

ზღაპარი ბაყაყზე, კურდღელსა და თხუნელაზე

ტბის მახლობლად ბაყაყი ცხოვრობდა. მხიარული იყო ჩვენი ბაყაყი, უყვარდა წყალში ტყაპუნი და ხმამაღლა ყიყინი.

იქვე, ტბის მახლობლად, მუხის ძირას, თხუნელა ცხოვრობდა. იმდენი ორმო ამოეთხარა მის ფესვებთან, რომ მუხამ ხმოზა დაინყო.

ერთხელაც მუხამ ბაყაყს შესჩივლა:

– თხუნელა ჩემს ფესვებს თავს არ ანებებს, ძლიერ ქარში უკვე ფეხზე დგომაც მიჭირს, სადაცაა წამაქცევს ქარიშხალი.

ბაყაყმა მუხის დახმარება გადანყვიტა, მაგრამ ვერაფრით მოიფიქრა, როგორ დაერწ-

მუნებინა თხუნელა, სხვა ადგილი ეპოვა საცხოვრებლად. ჩამოჯდა ტბის ნაპირზე და მოწყენილად აყიყინდა.

ამ დროს კურდღელმა ჩამოიარა და ჰკითხა: – რატომ მოგინწყენია, ბაყაყო?

უამბო ბაყაყმა მუხის გასაჭირი. დაინყეს მეგობრებმა ერთად ფიქრი, როგორ დახმარებოდნენ მუხას და გაახსენდათ, რომ იქვე ახლოს ულამაზესი ყვავილებითა და უგემრიელესი კენკრით სავსე მშვენიერი მდელო იყო.


მოუყვნენ მეგობრები თხუნელას, თუ რა ლამაზი მიდამო ჰქონია მას მეზობლად. ჩაფიქრდა თხუნელა, ბოლოს მაინც გადანყვიტა, წასულიყო და ენახა, ასეთი რა ადგილი ნახეს მისმა ამხანაგებმა.


წაუძღვა კურდღელი მეგობრებს, გაჰყვნენ უკან ბაყაყი და თხუნელა. მიდიან და მიიმდერიან.

მიუახლოვდნენ მდელოს. „ო, რა ულამაზესი ადგილია, ოჰ, როგორ მომწონს აქაურობა!“ – წამოიძახა თხუნელამ და მაშინვე გადანყვიტა, დარჩენილიყო იქ საცხოვრებლად.

კურდღელმა და ბაყაყმა კი ახარეს მუხას, რომ თხუნელამ ულამაზეს მდელოზე დასახლება გადანყვიტა.

იმ დღიდან მუხას ქარიშხლის სულაც აღარ ეშინოდა.





თინათინ და ულენე ნაფეხვარიძეები
4 წლის ტყუპი

ულენე
ბილბეაზი



თიკო



ბეჭი, ბეჭი კოცნა

წრუნუნა ბალის ეზოში სეირნობით დაი-
ლალა, თანაც ძალიან ღელავდა, დედიკოს
მის ნასაყვანად მოსვლა პირველად დაუგ-
ვიანდა.

– დავავინყდი თუ აღარ ვუყვარვარ? იქ-
ნებ, სხვა ჩემზე უკეთესი წრუნუნა მონახა,
რომელიც ჩემსავით არ გააბრაზებს, ყვე-
ლაფერს დაუჯერებს, ონავრობით გულს არ
შეუღონებს, – დაღონებული წრუნუნა აქეთ-
იქით აცეცებდა მაყვალვივით შავ თვალებს.

სწორედ ამ დროს დაინახა ბალის ეზოში
შესული თავზე დიიიდ შლაპამორგებული
ქალბატონი სპილო, რომელიც თავისი ყუ-
რებპარტყუნა სპლიყვის შესაგებებლად შე-
სამური სისწრაფით გაიქცა.

წრუნუნა მწვანე სკამზე ჩამოჯდა და გაო-
ცებული მიაჩერდა, დედა-შვილი ერთმანე-
თისკენ როგორ მირბოდა.

– ეეე... არც მეჩვენება, არც მესიზმრე-
ბა, სინამდვილეში ვხედავ! – წრუნუნამ მო-
მუშტული თითებით თვალები კარგად მოი-
ფშვნიტა და ისე განაგრძო სპილოების ცქე-
რა.


– არადა, სპლიყვი იმოდენაა, ვინ წარ-
მოიდგენდა, დედა მისი ხორთუმით ასე იო-

ლად თუ აიტაცებდა. რომ არ ვიცნობდე,
უეჭველად ბამბაზე მჩატე მეგონებოდა, –
წრუნუნამ მხრები აიჩეჩა და ახლა თათმარ-
ჯვნივ გაიხედა, სადაც ზღარბუნა ლოყებლა-
ჟდაჟა ვაშლის ხრამახრუმით დედასთან ერ-
თად შინისაკენ მიაბიჯებდა.

– ან ამ ზღარბუნას, ნეტავ, დედა როგორ
ეფერება? ისეთი ეკლიანი ზურგი აქვს, კაქ-
ტუსს შემურდება, – ამის გაფიქრება ძლივს
მოასწრო წრუნუნამ, ბალის ჭიშკართან მი-
სულ ზღარბუნას დედა მაგრად მოეხვია. ისე
მაგრად ეხუტებოდა, გეგონებოდათ, ეკლე-
ბის მაგივრად მის ზურგს ღრუბლების ნაზი,
ფუმფულა ფთილა ამშვენებდა.

– ჩემი თვალით რომ არ დამენახა, არა-
ფრით დავიჯერებდი, მაგრამ... – წრუნუნამ
თათი ჩაიქნია და ბოლო ხმაზე აჩხავლებულ
ბახალას გახედა.

– ასეთი მჩხავანა ხმის პატრონს, მიკვირს,
დედა ყვავი – შენი ტკბილი ხმით დამატკბე,
ბაღში ნასწავლი ახალი სიმღერა მიმღერეო,
უკვე მეათედ რატომ სთხოვს? ნუთუ მართ-
ლა მოსწონს?! – ყურებზე თათებს მანამ
იჭერდა აბუზღუნებული წრუნუნა, ვიდრე
ყვავები ბალის ეზოდან არ გაფრინდნენ.



წრუნუნამ შვებით ამოისუნთქა და დედა-შვილების თვალთვალს განაგრძო.

– მაჩვზღარბას თათით ტარებაც არ ჩანს იოლი საქმე, დედამისი კი აგერ, ჩემ თვალწინ ანანავებს. გამკვირვებია, როგორ ახერხებს ამას? თათები არ ეხოკება?

– არა! – წრუნუნას ქვეყნად ყველაზე ტკბილი ხმა მოესმა, რასაც მალევე საყვედური მოჰყვა.

– აი, თურმე სად ყოფილხარ! როდის იყო, ბალის ამ მხარეს გამოდიოდი? ყოველთვის დათქმულ ადგილას, ყვითელ საქანელასთან მელოდები ხოლმე. იცი, რამდენს გეძებდი? როგორ შემაშინე, მეგონა, ველარ გიპოვიდი!

– არც დავავინწყდი, არც მიმატოვა, ჩემს წასაყვანად დედიკო მოვიდა, ვაშაა! – წრუნუნა სკამზე ხტოდა.

ხტუნვით გული რომ იჯერა, დედას თავისი წელანდელი ფიქრები გაუზიარა, მან კი წრუნუნას თავზე თათი მზრუნველად გადაუსვა და ზუსტად ეს სიტყვები უთხრა: – ყველა დედიკოს თავისი შვილი ძალიან უყვარს. იცი, სიყვარულს რა დიდი ძალა აქვს?! წონა იმან არ იცის და ზომა. უბრალოდ, გინდა, შენი გულის სიხარულს აჩუქო ბევრი, ძალიან ბევერი კოცნა, – თავისი სიტყვების დასტურად დედა თავგმა წრუნუნა ცაზე რამდენი ვარსკვლავიცაა, ზღვის ნაპირზე კი კენჭი, აი, იმდენჯერ ჩაკოცნა და ჩაკოცნა.



მხატვარი
ანნა კანდელაკი

შ ა რ ა დ ა

ლორინა გელაქა-ნატროშვილი

რუკაზე სულ პატარაა –
გულში აქვს დიდი ადგილი.
შარადას თუკი ამოხსნი,
პასუხი არის ადვილი.
პირველად: მითხარ, რა ჰქვია
რაზეც ქანაობს ბავშვი?
წინა ორ მარცვალს აიღებ
და დაწერ სიტყვის თავში.

მეორედ: ვენახის კრეფას
მოაძრე ბოლო ხმოვანი
და დაამატე, მეოთხემეტეა
ჩვენს ალფაბეტში მდგომარი.
ეს ქვეყანა ქართველისთვის
დედასავით ტკბილია,
მისნაირი ვერსად ვნახე,
თუმცა ბევრი მივლია.

გიო



თუ გსურთ,
ასე მოგილოცონ
დაბადების დღე,
გამოიწერეთ
ჟურნალი „დილა“!



ჟურნალ „დილას“ 2013 წელს მიენიჭა არამატერიალური
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

მთავარი რედაქტორი: დოდო ნიჟნიაძე
ნახატი ყდაზე: კასო ზრანგიშვილისა
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com,
facebook: საბავშვო გამოცემლობა დილა
ფასი: 2.50 ლარი



ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო